დანართი 6

პროგნოზი

1 შესავალი

1.1 „კანდიდატი“ ვალდებულია „მაგთიკომს“ მიაწოდოს ყველა ინფორმაცია და გაანგარიშება ტრაფიკის, მათ შორის, მომხმარებლების რაოდენობის, კომერციულ მომსახურების ტრაფიკის მოცულობების შესახებ, რომლებიც „მაგთიკომისთვის“ შეიძლება აუცილებელი იყოს იმისათვის, რომ შეაფასოს „ეროვნული როუმინგის“ ან „MVNO მომსახურებების“ მიწოდების ზეგავლენა „მაგთიკომის“ ქსელის ხარისხსა და ტექნიკურ ფუნქციებზე, და შემდგომ განახორციელოს აუცილებელი ქმედებები, მათ შორის, ქსელის მასშტაბის დაგეგმვა.

1.2 პროგნოზირების პროცესში გაცვლილი ყველა მონაცემი კომერციულ საიდუმლოებად იქნება მარკირებული და განხილული.

1.3 მომზადებულ პროგნოზში თითოეული მომსახურებისა და დაშვების წერტილის ინდივიდუალური პროგნოზები წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე.

2 პროგნოზირების წესები

2.1 „მომსახურების“ მიწოდება განხორციელდება „კანდიდატის“ მიერ „ხელშეკრულებაზე“ „განაცხადთან“ ერთად წარდგენილი პროგნოზის მოცულობის ფარგლებში.

2.2 კვარტალური/ნახევარწლიური/წლიური პროგნოზი მოიცავს მე-3 პუნქტში განსაზღვრულ მომსახურების მონაცემებს 1 წლის ვადით.

3 პროგნოზის საგანი

3.1 „კანდიდატი“ ვალდებულია პროგნოზი მოამზადოს და წარადგინოს სულ ცოტა შემდეგ ქვეპუნქტებში მითითებული ზომით:

3.2 დაშვების სიმძლავრე – თითოეულ კვარტალში/ნახევარ წელიწადში/წელიწადში გადასაცემი მონაცემების საპროგნოზო მოცულობა, გამოხატული მბ-ებში, თითოეულ დაშვების წერტილზე ცალ-ცალკე.

3.3 **„კანდიდატის“ აბონენტების ჯამური რაოდენობა** – აბონენტების საპროგნოზო რაოდენობა, მათ შორის 5G მომსახურებაზე (SIM ბარათების რაოდენობა).

3.4 **„კანდიდატის“ აქტიური აბონენტების რაოდენობა** – იმ აბონენტების საპროგნოზო რაოდენობა, რომლებიც აქტიურად იყენებენ ეროვნულ როუმინგს ან MVNO მომსახურებას. ეს მონაცემი დაშლილი უნდა იყოს მოსალოდნელი კონცენტრაციის ადგილმდებარეობების (რეგიონები, ქალაქები) მიხედვით.

3.5 **ხმოვანი მომსახურება** – დაშვების თითოეულ წერტილზე ხმოვანი მომსახურების საპროგნოზო მოცულობა. ეს მონაცემი დაშლილი უნდა იყოს შემომავალი და გამავალი ტრაფიკის მიხედვით და მოსალოდნელი კონცენტრაციის ადგილმდებარეობების (რეგიონები, ქალაქები) მიხედვით.

3.6 **SMS** – დაშვების თითოეულ წერტილზე SMS-ების საპროგნოზო მოცულობა. ეს მონაცემი დაშლილი უნდა იყოს შემომავალი და გამავალი ტრაფიკის მიხედვით და მოსალოდნელი კონცენტრაციის ადგილმდებარეობების (რეგიონები, ქალაქები) მიხედვით.

3.7 **მონაცემთა გადაცემა** – დაშვების თითოეულ წერტილზე მონაცემთა ტრაფიკის საპროგნოზო, მათ შორის 5G ტრაფიკის, მოცულობა. ეს მონაცემი დაშლილი უნდა იყოს შემომავალი და გამავალი ტრაფიკის მიხედვით და მოსალოდნელი კონცენტრაციის ადგილმდებარეობების (რეგიონები, ქალაქები) მიხედვით.